გადავაბათ ბგერები

მოსწავლეები სურათიანი ბარათების მეშვეობით განივითარებენ ბგერების გადაბმის უნარს.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სურათიანი ბარათები, რომლებზეც გამოსახულია სამ- და ოთხბგერიანი სიტყვების სურათები. სურათის ქვეშ დახატულია იმდენი მცირე ზომის ნახევარრკალი (◡), რამდენი ბგერაცაა სიტყვაში.

მსვლელობა

- მასწავლებელი მიმდევრობით უჩვენებს ბავშვებს ბარათებს და ხმამაღლა, გარკვევით ასახელებს მასზე გამოსახული თითოეული საგნის შესაბამის სიტყვას.
- შემდეგ დაიჭერს ბარათების დასტას ისე, რომ ბავშვები ვერ ხედავდნენ სურათებს.
- მასწავლებელი ხმამაღლა, დანაწევრებულად, მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვის ბგერებს პირველი ბარათიდან (მაგ.: „თ - ა - ვ - ი“).
- ერთ-ერთი ბავშვი გადააბამს ბგერებს და დაასახელებს სიტყვას, რათა ამოიცნოს დაფარული სურათი.
- მასწავლებელი შემოაბრუნებს ბარათს და დაანახვებს ბავშვებს.

ვარიაცია

მასწავლებელი დაიჭერს ორ ბარათს რკალებით და უჩვენებს ბავშვს (მაგ.: ხოჭო და ჭიამაია). შემდეგ დანაწევრებით, ბგერა-ბგერა წარმოთქვამს ერთ-ერთი ბარათის სიტყვას („მაჩვენე „ხ - ო - ჭ - ო“). ბავშვი მიუთითებს სწორ ბარათს და გადაბმით, სრულად წარმოთქვამს მთელ სიტყვას („ხოჭო“).

თამაშის გასართულებლად მასწავლებელი შედარებით გრძელი პაუზებით წარმოთქვამს ბგერებს, მაგ.: „გ --- უ --- ლ --- ი“.